

**თურქეთსა და ირანში მცხოვრებ
ქართველთა ისტორიული მემკვიდრეობის
მეტაფორული ხაზისათვის
FOR METAPHORIC IMAGE
OF HISTORICAL MEMORY
OF GEORGIANS LIVING IN TURKEY AND IRAN**

ნინო ფხაკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო ნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

ელისო ფხაკაძე

რუსთავის X საჯარო სკოლა
ქუთაისი. საქართველო

Nino Pkhakadze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

Eliso Pkhakadze

Rustavi Public School X
Rustavi. Georgia

ABSTRACT

The Muhajir exile (Muhajiroba) is one of the most tragic events of the history of XIX century Georgia. The area for the study of the muhajir descendants is rather extensive, encompassing the Black Sea coast of Turkey, on the one hand, and Fereydan in Iran, on the other hand. The modern Socio-political situation and relations between states led to enhanced importance of the issue under investigation in order to demonstrate a new objective approach. Ethnic identification of the Georgians living in Turkey and Iran is possible to accomplish by means of entire historical, ethnological and linguistic data.

It is of utmost importance to recover the historical profile of the Georgians residing in Turkey and Iran which could be managed through the texts that illustrate the linguistic and cultural model of thought and revive the historical and genetic lineage.

The idiom of the Georgians of Turkey and Iran is a source that reflects their attitudes towards their historical roots. The interpretation of particular texts reveals seemingly imperceptible information, their authors' common cultural past and the image of thought, and historical reality. Metaphorization is an important aspect of the cognitive linguistic analysis since a metaphor is considered as an exchange of

public opinion, characteristic of human thought and action which is reflected not only in the language but also in our everyday life.

The examined material acknowledges the presence of an entire metaphoric system in different types of discourses (in the idiom of Georgians of Turkey and Georgians living in Georgia)

that are marked by the same worldview: the motherland represents the family, the root; in order to maintain self-concept, never-ceasing contact is essential; ensuring integrity requires nationwide responsibility, while commitment to the mother language suggests such responsibility, illustrating the manifestation of historical reality through linguistic circumstances.

საკვანძო სიტყვები: ირანის ქართველები, თურქეთელი ქართველები, ისტორიული მეხსიერება, ეთნიკური იდენტობა.

Keywords: Iranian Georgians, Turkish Georgians, Historical memory, Ethnic Identity.

მუჰაჯირობა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა. მუჰაჯირობა შთამომავლების საკვლევია სივრცე საკმაოდ ფართოა: ერთი მხრივ, თურქეთის შავიზღვისპირეთი და მეორე მხრივ, ირანის ფერეიდანი. თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, სახელმწიფოთა ურთიერთობებმა ახლებური, ობიექტური მიდგომის წარმოსაჩენად საკითხის კვლევის აქტუალობა კიდევ უფრო გაზარდა. თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა ეთნოიდენტიფიკაცია ისტორიული, ეთნოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების ერთობ-ლიობით არის შესაძლებელი. მუჰაჯირობა ეთნომენტალური ბუნების შესასწავლად გენეტიკური მახასიათებლებისა და ისტორიული პროცესების გათვალისწინებაა საჭირო. ამას ემატება უცხო ეთნიკურ გარემოში ცხოვრების ფაქტორი, რაც მათს ხედვასა და აზროვნებაზე იდეოლოგიური გავლენებითაც აისახა.

უმნიშვნელოვანესია თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა ისტორიული პროფილის აღდგენა, რაშიც დაგვეხმარება ის წყაროები, ტექსტები, რომლებიც წარმოაჩენენ აზროვნების ენობრივ-კულტურულ მოდელს და აცოცხლებენ ისტორიულ-გენეტიკურ ხაზს.

ისტორიული მეხსიერება საერთო მონაცემია. დრო და სივრცე ამ ფენომენს კრავს და ამთლიანებს. ქრონოლოგია, ლოკალური მიმართებები, ისტორიული პერიპეტიები, პოლიტიკური ფაქტორები, სამწახაროდ, ზოგჯერ ამ მთლიანობას საფრთხეს უქმნის, მაგრამ აზროვნების სიღრმე, სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულების სისტემურობა, გენეტიკური კულტურული კოდი და მისი მოქმედების სტაბილურობა აღნიშნულ მრავალგანზომილებიან ფენომენს საუკუნეების განმავლობაში უნარჩუნებს მდგრადობას.

ისტორიული მესხიერება მრავალი ფორმით ვლინდება, მაგრამ განსაკუთრებით კარგად აისახება იგი ვერბალიზებულ სტრუქტურებში, რადგან სიტყვა / ენა სამყაროს ხედვის, მსოფლმხედველობრივი რწმენის უშუალო გამოხატულებაა.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგნად იქცა ისტორიული მესხიერების ვერბალიზებული მეტაფორული ხატი თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველ-თა მეტყველების მიხედვით. ენაში აკუმულირდება ე.წ. „გაზიარებული ცოდნა“, რომელიც ერთი კოლექტივის სინამდვილესთან ერთგვარ მიმართებას და იდენტობის გაცნობიერების საერთოობას ადასტურებს (Globerson... 1989: 3).

თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება ისტორიულ ფესვთან მათი დამოკიდებულის ამსახველი წყაროა. შესაბამისი ტექსტების ინტერპრეტაციით თვალსაჩინო ხდება ერთი შეხედვით „უხილავი“ ინფორმაცია, მათი ავტორების საერთო კულტურული წარსული, აზროვნებითი ხატი, ისტორიული რეალობა. კოგნიტიური ლინგვისტური ანალიზის საყურადღებო ასპექტია მეტაფორიზაცია, რადგან მეტაფორა მოიაზრება როგორც საზოგადოებრივი აზრის გაზიარება, ადამიანთა აზროვნებისა და ქმედების მახასიათებელი, რომელიც აისახება არა მარტო ენაში, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში (Lakoff 1980).

მეტაფორა პრაგმატიკული, კოგნიტიური და ლინგვისტური ცოდნის გამაერთიანებელია, რაც ისტორიულ-კულტურული და მსოფლმხედველობრივი ასპექტებით არის გაჯერებული (Charteris-Black 2004).

საანალიზო მასალამ დაადასტურა მეტაფორის სოციალური და კულტურული მარკირებულობა, მისი როლი ეთნოიდენტიფიკაციის წარმოჩენის ასპექტით. სწორედ მეტაფორის მეშვეობით იქმნება სტერეოტიპული მოდელები სამყაროს შემეცნების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქართველური აზროვნების ღირებულებითი კონცეპტოსფეროს ამსახველი ველი, რომელიც წარმოაჩენს ისტორიული რეალობის გამო განსხვავებულ გარემოში მყოფი ქართველების ერთიან ენობრივ-კულტურულ ხედვას. ამგვარმა ანალიზმა გამოკვეთა მეტაფორათა პრაგმატიკული მახასიათებელი – აზროვნებასა და ქმედებასთან მისი უშუალო კავშირი და ფუნქციური დატვირთვა – იქცეს ეთნიკური ცნობიერების მანიფესტაციად, იდეათა გამოხატულებად, გაათვალსაჩინოს სათქმელი, შენიღბოს გადმოცემის არაპირდაპირი ფორმით გარკვეული შეზღუდვის მქონე მოვლენა/საგანი, გააძლიეროს ემოციური ეფექტი.

ჩვენ განვიხილეთ თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება, რამაც გამოკვეთა ლინგვისტური მონაცემებით ისტორიული რეალობის წარმოჩენის შესაძლებლობა, ეპოქის პოლიტიკური სულისკვეთების, სოციალური განწყობის, ეროვნული მრწამსის, კულტურული მყოფობისა და ღირებულებათა გათვალსაჩინოების კუთხით.

მსჯელობის დასაწყებად მოვიშველიებთ „ჩვენებურების ქართულიდან“ ერთ-ერთ კონტექსტს, ღურსუნ და ფატყუმე ოზდილების (გოგიტიძეების) მონათხრობიდან: „იმ ხალხს გუემარჯოს, რომ დედის ენა ყუელთვინ ულაპარაკნიან, ენიდან არ მუუცილვებიან და ღღემდე აცოცხლებენ ქართულსა, ახლაც იციან. აქ დარჩენილ ჩვენ სისხს და ხორცსაც გუემარჯოს. ამათაც არ დავიწყებინ იქ წასულები და ენატრებიან მათი დანახვა. აქავრებსაც გუემარჯოს და იქავრებსაც“ (ფუტკარაძე 1993: 27).

აქავრებისა და იქავრების საერთო ეთნიკურ ცნობიერებაზე გვინდა ვიმსჯელოთ მეტაფორული ხატის მეშვეობით.

იქაურების სამშობლოსეული მეტაფორული აღქმა: საბაეტინ ბაშთურქის მონათხრობით: „უმწეო ცხვრის ფარას დამსგავსებული აჭარა წინამძღოლს მიჰყვებოდა. ამ წინამძღოლის წარმოდგენაში კი აჭარა დედის კალთიდან საუკუნეობით მონყვეტილი ყვავილი იყო, და სჯეროდა, რომ ამ ყვავილს მხოლოდ დედასაქართველოს მკერდზე მიკრულს შეეძლო სიცოცხლე და დაფესვიანება“ (იქვე: 10).

შევადაროთ დიდი ქართველის ილია ჭავჭავაძის მონოდებას: „ქართველობავ, ხელი გაუნოდე შენს ძმებს და დებსა, რომლებიც ღღემდე შენთვინ დაკარგული იყვნენ... ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის... რომ ამ ძმობაში გამოიკვანდა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს...“ (მითითება). ბედნიერების კვირტი მთლიანობაა, ეს ეთნიკური ცნობიერების უმაღლესი გამოხატულებაა დიდი მამულიშვილისა.

გოგიტიძეების მონათხრობით: „ნენი იტყოდა: ერთი ღრო იქნება კალო გვილენებაო: ეს ის სიტყუა არი, მემლექეთში წერილის გადასვლა-გადმოსვლა შეიძლებაო, წერილს უკან დეინახავ, თქვენც გადახუალთ-გადმოხუალთო...“ (ფუტკარაძე 1993: 23). „კალოს გალენვა“ სასურველი ღროის დადგომის მეტაფორაა, ერთიანობის, სამშობლოში დაბრუნების სიმბოლო. მანამდე კი საკუთარ გულისტკივილს სიმღერით გამოხატავენ და ხმას ატანენ მემლექეთში. ესეც მეტაფორული სურათია სამშობლოსთან უხილავი, ოცნებაში განფენილი კავშირისა: „ხმის აღება ცოდვა არიო, იტყვიან, მარა ღმერთ შევთხოვ ცოდვაში არ ჩამინეროს, მემლექეთში ვატან ჩემ ხმასა“ – ემინე და მუქქერემ ჩიბუქები გოგიტიძეები (იქვე: 57).

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ირანში მცხოვრებ ქართველთა თვითშეგნებაზე. შესწავლილი მასალის საფუძველზე, ჩვენი მხრივ, უნდა დავადასტუროთ ფერეიდნელი ქართველების მიერ ეროვნული ტრაგედიის განცდის მეტი სიმძაფრე თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან შედარებით. ამ მიზეზების კვლევა საინტერესოა და იგი სამეცნიერო ლიტერატურაში იქცა სპეციალური მსჯელობის საგნად. აღნიშნავენ, რომ „ფერეიდანში მცხოვრები ქართველების ყოფა უნიკალურია და განსხვავებულია

სხვაგან, მაგალითად, თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფისა და კულტურისაგან, რადგან ფერეიდანში ისინი აღმოჩნდნენ შედარებით იზოლირებულ მდგომარეობაში. ირანის სხვადასხვა პროვინციაში მცხოვრებ ქართველთაგან, მხოლოდ ფერეიდნელებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ეთნიკური თვითშეგნება, ენა, საოჯახო წეს-ჩვეულებები და მთელი რიგი ელემენტები, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. სარწმუნოების შეცვლამ და ცხოვრების პირობებმა, ეკოლოგიურმა გარემომ მთლიანად შეცვალა მათი ტანსაცმელი, სამეურნეო იარაღები და სხვ. მიუხედავად ამისა, ძველქართული ცხოვრების წესი მაინც შენარჩუნებული იქნა“ (თოფჩიშვილი 2019).

სანიმუშოდ გვინდა მოვიხმოთ ინტერნეტში გამოქვეყნებული წერილი ერთ-ერთი ფერეიდნელი ქართველის აბოლყასემ აჰმადის/აბოს გულში ჩამწვდომი ისტორიის შესახებ, ამბავი იმაზე, როგორ ცდილობს შორეული გენეტიკური კავშირების გაცოცხლებას ქართული სიტყვებით სოფელ თორელის მკვიდრი. იგი გულმოდგინედ ეძებს და აღადგენს დაკარგული მშობლიური ენის უმდიდრეს სალაროს. წერილის ავტორი დიანა ანთიმიადია (ანთიმიადი 2017). წერილის მეტაფორულ-იგავური სტილი ორმხრივად არის საინტერესო: უპირველესად, სამშობლოს მონყვეტილი ქართველის ეროვნული ცნობიერების წარმოსაჩენად, მეორე მხრივ, დაკარგული ღვიძლი ძმის „აქაური საქართველოდან“ საჭვრეტლად. წერილი ნათელი დასტურია იმისა, რომ აქაური და იქაური ერთი ხედვის, ერთი მრწამსის, ერთი ეთნიკური ცნობიერების გამოხატულებაა. ავტორი ჩვენთვის საინტერესო მეტაფორულ ხატს ამგვარად წარმოგვიჩენს: „საიდან იწყება მესხიერება? იქნებ ბების ნათქვამი უცნობი მოსაფერებელი სიტყვებით, ჩემო „სიყრმის მზიმევ“, ჩემო გულის ბოძო! – ეტყოდა ბებია, გვიან გააშინაარსა პატარა ბიჭმა, რომ სიყრმის მზეს ეძახდა გამზრდელი ბებია“. **საცნაურია სამყაროს შეცნობის გენეტიკური ფორმულა, ქართველური მეტაფორული პროფილი ეთნიკური ცნობიერებისა – წინაპარი – შთამომავალი, ფესვის სიღრმე და მომავლის იმედი.**

ავტორი აბოს ცხოვრებისეული აზრის გამოსარკვევ მთავარ კითხვასაც მეტაფორულად გადმოსცემს: იგი თვით აბოს სიტყვებს მოიხმობს, **გულის ატკივებას** უნოდებს ისტორიული ფესვის ძიების სურვილს. „ბავშვობიდან განსაკუთრებით ცდილობდა მოხუცებთან ესაუბრა, მათი ქართული მოესმინა, მათი ცხოვრების ამბები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „გული ასტკივდებოდა“ – ვინა ვართ, საიდან მოვედითო“. ამავე კონტექსტში გამოიკვეთა ისტორიული ფესვის მახასიათებელი ორი მთავარი ლექსემა-კონცეპტი: „ქართული, მოხუცი“. სამშობლოსთან დამაკავშირებელი ორი უმთავრესი რამ: ენა და წინაპარი.

წერილისეული მეტაფორული ისტორიის ლოგიკური კვანძის გახსნა აბოს ქართულ ენასთან დამოკიდებულების წარმოჩენა ცხოვრების საზრისად. ცხოვრების მთავარი კითხვა – ვინ ვართ, საიდან მოვედივართ? პასუხი კი – იმ უმდიდრესი საბაღოს გაცოცხლება, რომლის კულტურულ

წილშიც არის შესაძლებელი საკუთარი მყოფობის ბუნებრივი ადეკვატურობით შენარჩუნება. აი წერილის სათანადო კონტექსტიც: „ჰოდა, სწორედ ამ კითხვას მოჰყვა მისი ცხოვრების მთავარი პასუხი და ამბავი ფერეიდანზე, სოფელ თორელზე და ერთ კაცზე, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია თავის თუ სხვა ქართულ სოფლებში სიტყვებს აგროვებს, გამოთქმებს, ლექსებს, ანდაზებს, ეძებს, ახარისხებს და იწერს“.

ქართველური ლინგვოკულტურული ფენომენის უტუარი დასტურია კონცეპტური ჯაჭვი – დედაენა სამშობლოა, დედა – დედაენაა. ეს ეთნოკულტურული ღირებულებითი კონცეპტიც მეტაფორულად გადმოიცემა: დავიმონებთ სათანადო კონტექსტს: „ენა დედამ ასწავლა, ქართულიც დედამ შეაყვარა და სიტყვის ფასიც დედისგან გაიგო. დღემდე ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობას დედასთან ამონებს, დედა სიტყვების საბალოა, დედაენაა“.

ახლა თვით აბოს ისტორიულ სამშობლოში გამოგზავნილი წერილი გვინდა მოვიხმოთ, რომელიც მთლიანად მეტაფორულია: ამ წერილის მიხედვით საქართველო უზარმაზარი **ზღვაა**, ხოლო ფერეიდანი – მისი **გულის წყარო**. მეტაფორული ხატი სრული ადეკვატურობით გადმოსცემს ეთნოსის გახლეჩის ტრაგიზმს, ისტორიულ სამშობლოს მონყვეტილი ქართველობის ტკივილს, ფესვებთან დაბრუნების მნიშვნელობას: „საქართველო, შენ ხარ ჩემი სამშობლო, მე ვარ შენი **დაკარგულ შვილი**. საქართველო, შენ ორ ზღუას შუა ხარ, ფერეიდანი **ხიღია** ორი ქვეყნის შუა, საქართველო, შენ დიდი ზღვა ხარ, ფერეიდანი არის შენი **გულის წყარო**.“

ისევ წერილის ავტორის მიზანდასახულობას დავუბრუნდეთ: მეტაფორულად გადმოსცეს მთავარი იდეა: ეთნიკური ცნობიერება უწყვეტობაა, კულტურული გენეტიკა ენაში ცოცხლდება, ტერიტორიული დაცემა, ისტორიულ-პოლიტიკური ავბედობა ეთნოსის მთლიანობის რღვევის უმწვავესი საფრთხე, ამ საფრთხის დაძლევის უპირობო პრიორიტეტი მშობლიურ ფესვთან დაბრუნების აუცილებლობა, რომლის ძირითადი საყრდენი ქართული ენაა. აი როგორ გადმოსცემს ამ აზრს წერილის ავტორი: „ყველაზე მთავარი ის არის, რომ აბო ცდილობს ქართული ენისადმი ინტერესი და სიყვარული მომავალი თაობის გულში ჩანერგოს, ისევე, როგორც მის მახსოვრობაში აღბეჭდა დედამ ტკბილზე ტკბილი ქართული სიტყვები: თოჭლიგანყალეხული. გაზაფხული დახატული, ყვავილი გამწონებული. წყარო სავსე წყალი, კოკა გატეხული. დედა, ენდუპური, კიდობანი ცარიალი. კარი დაკლეთული, კლიტე დაკარგული. ცომი მოზელული, თონე ანთებული. პური და მარილი, გილოცავ ახალი წელი. სახლი გათეთრებული, პატრონი გახარებული, მაღლობა ღმერთი. ჩემ დედა-ენა ქართული“.

ამგვარად, განხილული მასალა ადასტურებს ერთი მსოფლ-მხედველობრივი ნიშნით მარკირებულ სხვადასხვა ტიპის დისკურსში („აქაურებისა“ და „იქაურების“ მეტყველებაში) მთლიანი მეტაფორული სისტემის არსებობას: სამშობლო ოჯახია, ფესვია, მასთან მოუწყვეტლობა

გარდაუვალი აუცილებლობა თვითიდენტობის შესანარჩუნებლად, ერთიანობის, მთლიანობის დაცვა – ეროვნული პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის გამოხატულება დედაენის ერთგულება, რაც ნათელყოფს მეტაფორის ცნებითი აზროვნების გადმოცემის რელევანტურ საშუალებად რეალიზებას და მისი ფუნქციური დატვირთვის პრაგმატიკულ ასპექტს, ლინგვისტური მოცემულობით ისტორიული რეალობის წარმოჩენის შესაძლებლობას.

დამონშებული ლიტერატურა

ანფიმიადი 2017: ანფიმიადი დ., სიტყვების ამბავი. <http://mastsavlebeli.ge/?p=15181>.

ბერძენიშვილი 1990: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990.

თოფჩიშვილი 2019: თოფჩიშვილი რ., ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. <http://allgeo.org/index.php/ka/720-2019-03-25-10-59-21>

ფუტკარაძე 2017: ფუტკარაძე ნ., ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში. https://www.bsu.edu.ge/text_les/ge_le_8322_1.pdf

ფუტკარაძე 1993: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

Charteris-Black 2004: J. Charteris-Black, Corpus Approach to Critical Metaphor Analysis. Palgrave MacMillan, 2004.

Globerson... 1989: Globerson T., Zelniker T., Introduction // T. Globerson, T. Zelniker eds. Cognitive style and cognitive development. –Norwood (N.J.): Ablex. 23, 1989.

Lakoff... 1980: Lakoff G., Johnson M., Metaphors we live by. Chapter 1: Concepts we live by. chapter 8: Metonymy. chapter 12: How is our conceptual system grounded? 1980.